

შპს ბორან ლაითი

ს/კ 206 343 492



ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-7

ფინანსური მდგომარეობის უწყისი		Statement of Financial Position		
		31 12 18	31 12 17	31 12 16
აქტივები	Assets			
გრძელვადიანი აქტივები	Non-current assets			
ბირთადი საშუალებები	Property, plant and equipment	613,905	378,887	147,931
საინვესტიციო ქონება	Investment property			
ბიოლოგიური აქტივი	Biological assets			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	Investments in associates			
		613,905	378,887	147,931
მოკლევადიანი აქტივები	Current assets			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	Cash and cash equivalents	266,377	236,595	109,891
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	Trade and other receivables	4,099,797	2,964,120	1,418,761
მარაგები	Inventories	3,799,966	2,475,380	1,517,086
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	Dividends and Interest Receivables	28,440	25,483	17,008
		8,194,579	5,701,578	3,062,747
მთლიანი აქტივები	Total assets	8,808,485	6,080,465	3,210,678
მოკლევადიანი ვალდებულებები	Current liabilities			
მოკლევადიანი სესხები	Borrowings			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	Trade and other payables	653,675	442,577	341,725
საგადასახადო ვალდებულებები	Current tax liability	33,753	(10,599)	(97)
გადასახდელი პროცენტი	Interest Payables	123,891	71,237	43,702
გადასახდელი დივიდენდი	Dividend Payables	-	-	-
		811,319	503,215	385,330
ვალდებულებები	Liabilities			
გრძელვადიანი ვალდებულებები	Non-current liabilities			
გრძელვადიანი სესხები	Borrowings	3,714,155	2,872,908	1,261,829
ანარიცხები	Provisions			
გადავადებული შემოსავალი	Deferred Revenue			
		3,714,155	2,872,908	1,261,829
მთლიანი ვალდებულებები	Total liabilities	4,525,474	3,376,123	1,647,159
მთლიანი კაპიტალი	Equity			
საწესდებო კაპიტალი	Charter Capital	955,000	955,000	955,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	Retained Earnings	3,328,011	1,749,342	608,519
გადაფასების რეზერვი	Revaluation Surplus			
		4,283,011	2,704,342	1,563,519
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	Total liabilities and equity	8,808,485	6,080,465	3,210,678

მოგება - ზარალის ანგარიშგება	Statement of Comprehensive Income		
		2018	2017
ამონაგები	Revenue	16,333,077	10,426,281
თვითღირებულება	Cost of sales	(11,274,584)	(7,000,541)
საერთო მოგება	Gross profit	5,058,493	3,425,740
სხვა შემოსავლები	Other income		
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	Administrative expenses	(2,407,106)	(1,533,824)
მიწოდების დანახარჯები	Distribution costs	(674,205)	(449,817)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	Other gains/(losses) – net		
სხვა ხარჯები	Other expenses	(4,685)	(1,268)
საოპერაციო მოგება	Operating profit	1,972,497	1,440,832
ფინანსური შემოსავალი	Finance income	44,678	40,079
ფინანსური ხარჯი	Finance costs	(438,506)	(205,347)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	Finance costs – net	(393,828)	(165,268)
მოგება დაბეგვრამდე	Profit before income tax	1,578,669	1,275,564
მოგების გადასახადი	Income tax expense	-	-
წმინდა მოგება	Profit for the year	1,578,669	1,275,564

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

Statement of Changes in Equity

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
		Share Capital and Share Premium	Revaluation Surplus	Retained Earnings	Total Equity
2017 წლის 1 იანვარი	At 1 January 2017	955,000	0	608,519	1,563,519
წმინდა მოგება	Profit for the year			1,275,564	1,275,564
სხვა სრული შემოსავალი	Other comprehensive income for the year				-
პერიოდის სრული შემოსავალი	Total comprehensive income for the year	-	-	1,275,564	1,275,564
გაყვანილი დივიდენდი	Dividend paid			134,741	134,741
2017 წლის 31 დეკემბერი	At 31 December 2017	955,000	-	1,749,341.81	2,704,342
წმინდა მოგება	Profit for the year			1,578,669	1,578,669
სხვა სრული შემოსავალი	Other comprehensive income for the year				-
პერიოდის სრული შემოსავალი	Total comprehensive income for the year	-	-	1,578,669	1,578,669
გაყვანილი დივიდენდი	Dividend paid				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	Issue of shares				
2018 წლის 31 დეკემბერი	At 31 December 2018	955,000	-	3,328,011	4,283,011

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ბორან ლაითი ს/კ 206 343 492 (კომპანია) 2010 წელს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე ახორციელებს განათების საშუალებების და ხელსაწყოების იმპორტსა და შემდგომ რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ქვემო ფონიჭალა, მარნეულის ქ. 44

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

შპს ბორან მაინინგ ენდ კო ს/კ 205257924 - 100%;

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 89 თანამშრომელს (2017 - 60 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით.

ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავე გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მას მერე, რაც აქტივის შედის ექსპლუატაციაში.

დირექტორი - ემზარ ქიტესაშვილი

